პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი № 155 (13847) | ოთხშაბათი, 5 ივლისი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

**ᲘᲪᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲔᲗ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲓᲐᲜ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲖᲔ, ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲗ ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲐᲖᲐ, ᲔᲜᲘᲠᲒᲘᲜᲔᲚᲝᲒᲜᲐᲓ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲓᲗ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲐ, ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲕᲧᲝᲗ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲡᲘᲙᲔᲗᲘᲡ ᲡᲘᲣᲮᲕᲔ.**

ᲡᲙᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲔᲖᲘᲡᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

## ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲔᲖᲘᲡᲔᲑᲘ — ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲞᲘᲠᲘ

# ᲡᲘᲐᲮᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲜᲘ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, შრომის ნაყოფიერების განუყოფელი ზრდის საფუძველზე საბჭოთა საზოგადოების მთავარი ეკონომიური ამოცანაა.

აი საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი შრომის დევიზი, რომელიც დაგვისახა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა თავის თეზისებში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი“.

ეს დიადი პროგრამა მოითხოვს ყოველდღიურ ბრძოლას ტექნიკური პროგრესისათვის, ახალ ტექნიკურ საშუალებათა დაპროექტებისა და წარმოებაში მათი ათვისების ვადების შემცირებისათვის. საჭიროა ყველა ღონისძიებით განვავითაროთ სამინისტროების, საწარმოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მეცნიერების, ინჟინრების, კონსტრუქტორების, მუშების ინიციატივა ახალ ტექნიკურ სრულყოფათა შექმნისა და გამოყენების საქმეში. ვინაიდან ეს სრულყოფა, ტექნიკური პროგრესი შესაძლებელს გახდის შევამუშაოთ ადამიანის შრომა, მნიშვნელოვნად გავაძლიეროთ და დავაჩქაროთ საწარმოო პროცესები, მივაღწიოთ მათი სიზუსტის უმაღლეს კლასს, მრეწველობის მასობრივი წარმოების სტანდარტიზაციას, ნაკადური, კონვეიერული წარმოების მაქსიმალურად დანერგვას. ამ სახელმწიფოებრივი მისიის შესრულებაში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მასობრივი გამომგებლობისა და რაციონალიზატორული მოძრაობის, იმ საწარმოების, საამქროების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, ბრიგადებისა და შრომის ნოვატორების სახელმწიფოს დაუზოგავ მატერიალურ და მორალურ სტიმულირებას, რომლებიც ახალი ტექნიკის წარმოებას ეუფლებიან და უნარიანად იყენებენ მას.

რაციონალიზატორი და გამომგონებელი! იყო და აბარებდე ამ საპატიო სახელს — ეს ნიშნავს იყო ადამიანი-მოაზროვნე, ახალი აზრის მაძიებელი, ადამიანი-შემოქმედი, რომელიც უსწრებს დროს, დამაჯერებლად იპყრობს ჯერ კიდევ გუშინ დაუპყრობლად მიჩნეულ მწვერვალებს. რაციონალიზატორი და გამომგონებელი ჩვენი სახალხო მეურნეობის მრავალდარგოვანი მრეწველობის მარჯვენა ხელია, რომელიც თავისი მეგობრული რჩევით ტექნიკური პროგრესის მუდმივი განვითარების კატალიზატორია.

დღეს ამ საპატიო ადამიანთა რიცხვი ჩვენს რესპუბლიკაში 54 ათასს აჭარბებს, რომლებიც გაერთიანებული არიან გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოში შემავალ 816 პირველადს ორგანიზაციაში. მათი მოღვაწეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ხუთწლედის რაციონალიზატორული 100 მილიონანი ფონდის შესაქმნელად სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია და ფართოდ გაჩაღება, ბრძოლა და საზოგადოებრივი კონტროლი წარმოებაში გონივრული წინადადებებისა და გამოგონებათა დროულად დანერგვისათვის. ამ ღონისძიებათა წარმატებით განხორციელებისათვის რესპუბლიკურმა საბჭომ სამინისტროებთან, უწყებებთან და დარგობრივ რესპუბლიკურ პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად გამოაცხადა რესპუბლიკური დათვალიერება და კონკურსი, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს. გარდა ამისა, საიუბილეო წელთან დაკავშირებით რესპუბლიკის რაციონალიზატორებმა და გამომგონებლებმა იკისრეს სოციალისტური ვალდებულება თავიანთი წინადადებების განხორციელებით სახელმწიფოს დაუზოგონ 35 მილიონი მანეთი. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში უკვე მიღებული 28 მილიონი მანეთი ეკონომია ყოველ საფუძველს გვაძლევს განვაცხადოთ, რომ მათი სიტყვა და საქმე ერთი იქნება.

ტექნიკური სიახლისათვის, წარმოებაში შრომატევადი პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის განხორციელებისათვის ბრძოლაში საუკეთესო შედეგებს აღწევენ ჭიათურელი მაღაროელები, თბილისელი ელექტრომშენებლები, ქუთაისელი ავტომშენებლები, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“, რუსთავის ცემენტის, თბილისის თამბაქოს № 1 ფაბრიკის, აფხაზეთისა და აჭარის მთელ რიგ საწარმოთა კოლექტივები.

არ შეიძლება ქებით არ მოვიხსენიოთ რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორები: სოციალისტური შრომის გმირი, ელექტრომშენებელი ვ. პაპინაშვილი და ამავე საწარმოს ტექნოლოგი გ. ცხადაძე, თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის მუშები ს. ჩხაიძე და მ. აკოფოვი, ქუთაისელი ავტომშენებელი, სოციალისტური შრომის გმირი ი. ბაზარაძე, რუსთაველი მეტალურგი ო. ბლიაძე, რესპუბლიკის დამსახურებული გამომგონებლები: ლენინური პრემიის ლაურეატი შ. კერესელიძე, თბილისის ელდეპოდან — ვ. მაღალაშვილი, თბილისის მსუბუქი ტაქსომოტორების № 2 პარკის მძღოლი ვ. გრიგორიანი, № 1 თამბაქოს მუშა ე. სოლომკო და მრავალი სხვა, რომელთა გონივრული აზრის დანერგვის შედეგად მიღებულია შესანიშნავი შედეგები.

მაბრამ რაოდენ დიდი იქნებოდა ეკონომიური ეფექტი და ტექნიკური აზრის წინსვლა, რომ ზოგიერთ სამინისტროსა და უწყებაში, ტრესტებსა და ცალკეულ საწარმოებში მეტ მზრუნველობას იჩენდნენ ამ ადამიანთა მრმართ და ხელს უწყობდნენ მათ. რედაქციაში შემოსული სიგნალები იმაზე მეტყველებენ, რომ რაციონალიზატორისა და გამომგონებლისათვის ხელის შეწყობის ნაცვლად, ზოგ გამოხატება წინადადების დროულად გაფორმებით, დანერგვითა და განხორციელებით, მათ, პირიქით, ბიუროკრატული გულგრილობით ხვდებიან, ხელოვნურ დაბრკოლებებს უქმნიან და სახაზართლებში სიარულსა და საჩივრის წერაში აკარგვინებენ ძვირფას დროს, არ უნაღდებენ კუთვნილ გასამრჯელოს.

რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მოძრაობის განვითარებასა და მათი რიგების ზრდას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა, მაგალითად, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროში, რომლის სისტემაში გაერთიანებულია რამდენიმე ათასამდე ადამიანი. მიუხედავად ამისა, შარშან სულ შემოტანილ იქნა 37 რაციონალიზატორული წინადადება, ხოლო დაინერგა 18 (!). მაგრამ აქ როდი ვსვამთ წერტილს. გამომგონებლებს ი. სულაძეს და მის თანაავტორებს, რომლებმაც 1964-1965 წლებში დანერგეს თელეთისა და კავთისხევის რაიონის სარწყავ სისტემაში ღარული არხიდან მაღალ სიჩქარის წყლის გამომშვები, დღემდე უჭიანურებენ კუთვნილი გასამრჯელოს მიცემას. ასეთივე ბედი ეწია მეორე გამომგონებელს — ბ. ჩიკვაშვილს, რომლის ტექნიკური სიახლე შარშან გორის რაიონის ნადარბაზევის წყალსადენში დაინერგა.

სუსტად, არადამაკმაყოფილებლად წარმოებს რაციონალიზატორებთან მუშაობა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროშიც. შარშან მის სისტემაში შემავალ დაწესებულებებში მიღებული 65 რაციონალიზატორული წინადადებიდან დაინერგა 56 პროცენტი, ანუ 37 წინადადება, მაშინ როცა საერთოდ რესპუბლიკაში რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის საერთო პროცენტი 88,3-ს შეადგენს.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲕᲐᲚᲘᲐ შემოქმედებითი აზრის ადამიანებს მივცეთ ფართო ასპარეზი. არ დავუშვათ რაციონალიზატორული წინადადებისა და გამოგონების დაგვიანებით განხილვის არც ერთი ფაქტი. ამიტომ საწარმო-დაწესებულებების პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მეტი კონტროლი უნდა დაწესონ გონივრული წინადადებების სწრაფად დანერგვის საქმეში, რითაც დიდად შეუწყობთ ხელს რესპუბლიკის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით განხორციელებას.

ᲓᲘᲓᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐ გამოიწვია ჩვენს რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებმა. ქვემო სურათზე: გალის რაიონის მზიურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის განყოფილების უფროსი ც. ქაშუტაშვილი მუშებს ესაუბრება სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებზე; ზემო სურათზე: საიუბილეო ვახტის მონაწილენი, მოავარობილისმშენის სახლსამშენებლო კომბინატის შემდუღებელი (მარცხნივ) ც. ჯავახიძე, მებეტონეთა ბრიგადირი ი. ზაიკინი და მებეტონე ვ. სუხიაშვილი. თვითეული მათგანი დღეში ერთნახევარ ნორმას ასრულებს.

ფოტო ლ. შენგელიასი და ა. ჭელიძისა.

## ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲕᲐᲮᲢᲐᲖᲔ

### ᲜᲝᲒᲐᲗᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝᲡ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** კპ ლენინგორის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. მარგიევმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ თ. დურგლიშვილმა და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ზ. კოზაევმა „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს, რომ ლენინგორის რაიონის მშრომელებმა, რომლებიც ჩაბმული არიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, 28 ივნისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ნახევარი წლის დავალება. ხორცი ჩაბარებულია 3.575 ცენტნერი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.329 ცენტნერისა, რძე — 6.085 ცენტნერი, გეგმა კი 5.762 ცენტნერს ითვალისწინებდა, მატყული — 1.720 ცენტნერი ნაცვლად 1.438 ცენტნერისა, კვერცხი — 185.200 ცალი ნაცვლად 168.100 ცალისა.

### ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲜᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). გამართულად და ნაყოფიერად მუშაობს ტყიბულის ქიდროელექტროსადგურის კოლექტივი, რომელსაც პ. კაკაჭიშვილი უძღვება. ელსადგურის კოლექტივმა ვადამდე შესრულა საიუბილეო წლის პირველი ნახევრის დავალება და სახალხო მეურნეობას გეგმის გადამეტებით მისცა 15 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

## ᲠᲝᲪᲐ ᲗᲔᲖᲘᲡᲔᲑᲡ ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑ

ᲙᲐᲛᲕᲝᲚ-ᲛᲐᲣᲓᲘᲡ კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ მუშები და მოსამსახურეები დიდი ინტერესით გაეცნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებს „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი“.

— ოქტომბრის რევოლუციის საქმემ ღირსეულად გაუძლო დროის გამოცდას, — თქვა მოწინავე მქსოველმა თ. ᲖᲔᲚᲐᲫᲔ. — ჩვენი პარტიის იდეები გადაიქცა მსოფლიოს გარდამქმნელ მძლავრ მატერიალურ ძალად. ეს გარდაქმნები განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ჩვენი კომბინატის მაგალითით, რომელიც პირველი საბჭოთა ხუთწლედების პეროდში წარმოიშვა და ამჟამად რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი საფეიქრო საწარმოა.

ᲩᲕᲔᲜ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲤᲔᲘᲥᲠᲔᲑᲘ, ახლა ვიხსენებთ იმას, თუ რა წვლილი შეიტანა ჩვენი საწარმოს კოლექტივმა იმ მიღწევებში, რომლებიც ამაყობს სოციალისტური სამშობლო. კომბინატის ყოველი მუშაკი ისწრაფვის, რომ ღრმად შეისწავლოს თეზისები, რომელიც ახალი შრომითი წარმატებებისათვის გვაჯაზმავს. ჩვენს საწარმოში უფრო ფართოდ გაჩაღდა საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრება. საამქროები, ცალკეული ოსტატები და მუშები ენერგიულად იბრძვიან საწარმოო გეგმების მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

### ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲞᲝᲕᲐᲠᲘ

#### 50 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲙᲘᲚᲝᲒᲠᲐᲛᲘ ᲩᲐᲘ ᲔᲠᲗ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ კოლმეურნეები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, აღფრთოვანებით გაეცნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეზისებს „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი“.

ჩვენ ვამაყობთ საბჭოთა ხელისუფლების დიადი მონაპოვრებით. სასიხარულოა, რომ ამ მონაპოვარში ჩვენი მცირე წვლილიც არის. ამ საიუბილეო წელს კოლმეურნეობა სახელმწიფოსათვის მიწათმოქმედების პროდუქტების მიყიდვის გეგმების შესრულებაში მოპოვებული წარმატებებისათვის დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით. ახლა კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციების 500 ჰექტარ ფართობზე მეტი ჩაა მოგვაყავს, ვიდრე მთელ საქართველოში მოიწიეს 1921 წელს. მეურნეობის შემოსავალი 1800 ათას მანეთს გადაჭარბებს. ამ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი კოლმეურნეთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას მოხმარდება.

თეზისებით ჩვენმა პარტიამ კიდევ ერთხელ აუწყა მთელ მსოფლიოს, რომ თანმიმდევრულად იბრძვის იმპერიალიზმის აგრესიის წინააღმდეგ, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისა და კაცობრიობის სოციალური პროგრესისათვის. ჩვენ, საბჭოთა ადამიანებმა, ვიცით ჩვენი ბედნიერ, მშვიდობიანი ცხოვრების ყადრი. ამ ბედნიერ ცხოვრებას შესწირა თავი მრავალმა ათასმა პატრიოტმა — საბჭოთა მოქალაქეებმა. წარუშლელია ჩვენს ხსოვნაში დიდი სამამულო ომის ბრძოლის ველზე დაღუპული ჩვენი 300 თანასოფლელის სახელები. აი რატომ ვეუბაურებით ასე მგზნებარედ პარტიის მოწოდებას, რომ მთელ მსოფლიოში მშვიდობა დამყარდეს.

განვლილ წლებში ჩვენმა კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა 47 მილიონი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. წლევანდელ სეზონში გადავწყვიტეთ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად ეს ციფრი 50 მილიონამდე გავზარდოთ.

**Გ. ᲤᲘᲗᲚᲘᲫᲔ,**
**მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.**

## ᲔᲠᲗᲘᲡᲣᲚᲝᲕᲜᲐᲓ ᲘᲬᲝᲜᲔᲑᲔᲜ

### ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲖᲔ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, 4 ივლისი. (საქდესი). გაიმართა ქალაქ ქუთაისის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება.

კრებამ მოისმინა და განიხილა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის შ. კობახიძის მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგები და ქალაქ ქუთაისის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“.

კრებამ ერთსულოვნად მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი.

• • •

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ, 4 ივლისი. (საქდესი). რუსთავის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებამ ერთსულოვნად მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი, რომელმაც დაგმო ისრაელის აგრესია ახლო აღმოსავლეთში და მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი“.

კრებამ მოისმინა და განიხილა პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ლ. ხარბედიას მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგები და რუსთავის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“.

### ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

## ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘ-168“

**1967 ᲬᲚᲘᲡ** 4 ივლისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-168“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაუვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია: მიმოქცევის პერიოდი — 89,1 წუთი; მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 268 კილომეტრი; მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 199 კილომეტრი. ორბიტის დახრილობა — 51,8 გრადუსი.

სამეცნიერო აპარატურის გარდა თანამგზავრზე არის: რადიოგადამცემი, რომელიც მუშაობს 19,995 მეგაჰერცი სიხშირით, რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის; რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

## ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

4 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ კრემლში დაიწყო საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მოლაპარაკება. გამმართა აზრთა ყოველმხრივი ურთიერთგაზიარება ზოგიერთ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემაზე. მოლაპარაკების დროს კვლავ დადასტურდა სსრ კავშირისა და საფრანგეთის ურთიერთგაგება მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საკითხებში.

მოლაპარაკებაში, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, მონაწილეობდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ა. კირილინი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი და სხვები;

საფრანგეთის მხრივ — საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ჟორჟ პომპიდუ, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. კუვ დე მიურანი და სხვები.

4 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ნაშუადღევს კრემლში გაგრძელდა მოლაპარაკება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინსა და საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ ჟ. პომპიდუს შორის. მეგობრულ ვითარებაში მხარეებმა განიხილეს მთელი რიგი კონკრეტული საკითხები, რომლებიც ეხება საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ურთიერთობის შემდგომ გაფართოებას. (საკდესი).

## Ნ. Ვ. ᲞᲝᲓᲒᲝᲠᲜᲘ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

ᲔᲠᲐᲕᲘᲡ რესპუბლიკის პრეზიდენტის ამდელ რაჰმან მუჰამედ არეფის მიწვევით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი 1967 წლის 3-4 ივლისს მეგობრული ვიზიტით იყო ერაყის რესპუბლიკაში.

ნ. ვ. პოდგორნი და მისი თანმხლები პირები გულითადად მიიღეს, რაც ადასტურებს, რომ ერაყელი ხალხი მეგობრული გრძნობებითა და სიმპათიით ეკიდება საბჭოთა ხალხს. ნ. ვ. პოდგორნიმ გულითადი მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნისა და ერაყის პრეზიდენტს ამდელ რაჰმან მუჰამედ არეფს შორის გაიმართა საუბრები, რომლებმაც მეგობრობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით ჩაიარა.

საუბრებში მონაწილეობდნენ: ერაყის მხრივ — პრემიერ-მინისტრის მოადგილეები ტაქერ იაპია და ამდელ განი არ-რავი, თავდაცვის მინისტრი გენერალი ზაქერ მაჰმუდ შუქრი და საარეზიდენტოს საქმეთა მინისტრი ისმაილ ჰაირალა; საბჭოთა კავშირის მხრივ — თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე არმიის გენერალი ს. ლ. სოკოლოვი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. ა. მალიკი, სსრ კავშირის ელჩი ერაყის რესპუბლიკაში ვ. ფ. ნიკოლაევი, საკარეო საქმეთა სამინისტროს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგე ა. დ. ზარიბორინი.

შეხვედრებისა და საუბრების დროს განიხილეს საკითხები, რომლებიც შეეხებოდა არაბული ქვეყნების წინააღმდეგ ისრაელის აგრესიასთან დაკავშირებით ახლო აღმოსავლეთში შექმნილ მდგომარეობას, და ღონისძიებანი, რომლებიც უნდა განხორციელდეს ამ აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის.

განხილეს საბჭოთა კავშირისა და ერაყის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების საკითხები, აგრეთვე მოეწყო აზრთა სასარგებლო ურთიერთგაზიარება ორივე მხარისათვის საინტერესო მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემებზე.

როგორც ორივე მხარეს მიაჩნია, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის ვიზიტი ერაყის რესპუბლიკაში ხელს შეუწყობს ორივე სახელმწიფოს მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საქმეს საბჭოთა კავშირის ხალხისა და ერაყის ხალხის ინტერესებისათვის, საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ინტერესებისათვის.

## Ნ. Ვ. ᲞᲝᲓᲒᲝᲠᲜᲘ ᲑᲐᲦᲓᲐᲓᲨᲘ

**ᲑᲐᲦᲓᲐᲓᲘ**, 3 ივლისი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი ოფიციალური ვიზიტით ეწვია ერაყის რესპუბლიკის პრეზიდენტს ამდელ რაჰმან არეფს ბაღდადის რესპუბლიკურ სასახლეში.

ნაშუადღევს გაიმართა საზეიმო ცერემონია, რომლის დროსაც ნ. ვ. პოდგორნიმ გვირგვინებით შეამკო ერაყის რესპუბლიკის განსვენებული პრეზიდენტის ამდელ სალამ არეფის საფლავი და უცნობი ჯარისკაცის ძეგლი.

უცნობი ჯარისკაცის ძეგლის გვირგვინით შემკობის დროს ერაყის დედაქალაქის მოსახლეობამ საპატიო საბჭოთა სტუმარს განსაკუთრებით გულთბილი შეხვედრა მოუწყო. მოედანზე შეკრებილი ასობით ბაღდადელი მხურვალე ტაშით მიესალმა ნ. ვ. პოდგორნისა და მის თანმხლებ პირებს, გაისმოდა შეძახილები: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-არაბეთის მეგობრობას“.

შემდეგ ნ. ვ. პოდგორნი და მისი თანმხლები პირები გაემართნენ რესპუბლიკურ სასახლეში, სადაც მოეწყო ოფიციალური შეხვედრა ერაყის რესპუბლიკის პრეზიდენტ ამდელ რაჰმან არეფთან და ერაყის დელეგაციის წევრებთან.

**ᲑᲐᲦᲓᲐᲓᲘ**, 4 ივლისი. (**საკდესის სპეც. კორ.**). გუშინ ბაღდადის რესპუბლიკურ სასახლეში ერთმანეთს შეხვედნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი და ერაყის რესპუბლიკის პრეზიდენტი ამდელ რაჰმან არეფი.

საუბრის დროს, რომელიც გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, ნ. ვ. პოდგორნიმ და ამდელ რაჰმან არეფმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელიც შეიქმნა არაბულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ ისრაელის აგრესიის შედეგად, აგრეთვე ამ აგრესიის შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ. მათ განიხილეს აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო სხვა საკითხები.

საუბრის დამთავრების შემდეგ ერაყის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ამდელ რაჰმან არეფმა დარბაზობა გამართა საპატიო სტუმრის პატივსაცემად. დარბაზობაზე იყვნენ მთავრობის წევრები, თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

**ᲑᲐᲦᲓᲐᲓᲘ**, 4 ივლისი. (საკდესი). დღეს დილით ბაღდადის რესპუბლიკურ სასახლეში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი და ერაყის რესპუბლიკის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი ამდელ რაჰმან მუჰამედ არეფი. შეხვედრის დროს გაიმართა საუბარი, რომელშიც მონაწილეობდნენ ნ. ვ. პოდგორნის თანმხლები პირები, ხოლო ერაყის მხრივ — ერაყის დელეგაციის წევრები.

**ᲑᲐᲦᲓᲐᲓᲘ**, 4 ივლისი. (საკდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, რომელიც მეგობრული ვიზიტით იყო ერაყში ერაყის რესპუბლიკის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის ამდელ რაჰმან არეფის მიწვევით, დღეს ბაღდადიდან სამშობლოში გაემგზავრა.

## Ნ. Ვ. ᲞᲝᲓᲒᲝᲠᲜᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 4 ივლისი. (საკდესი). დღეს მოსკოვში დაბრუნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, რომელიც მეგობრულ ვიზიტად იყო სირიის არაბთა რესპუბლიკასა და ერაყის რესპუბლიკაში.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, ნ. ვ. პოდგორნის შეხვდნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები.

## ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲩᲕᲔᲜᲡ რესპუბლიკაში რამდენიმე დღეს იყო სტუმრად იტალიის კომუნისტური პარტიის სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობის წევრის ამხ. **არტურო კოლომბის** მეთაურობით. თბილისიდან დელეგაცია გაემგზავრა. მახარაძის რაიონში.

სტუმრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობა, რომელიც ერთ-ერთი უდიდესი ჩაის მეურნეობაა

# საკავშირო ხელოვნება

# მთავრდება რეზოლუციათა პროექტების განხილვა

**ნიუ-იორკი,** 3 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს გენერალური ასამბლეის დილის სხდომაზე გრძელდებოდა დისკუსია რეზოლუციათა პროექტების გამო. ასამბლეის განსახილველად შემოტანილია ხუთი პროექტი. საბჭოთა პროექტი თვალისწინებს ისრაელის აგრესიის დაგმობას, ისრაელის ჯარების დაუყოვნებლივ და უთუოდ გაყვანას დაზავების ხაზს იქით და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, სირიისა და იორდანიისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას.

იუგოსლავიისა და სხვა მეუმხრობელი ქვეყნების პროექტი თვალისწინებს ისრაელის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალური თანაშემწის გაგზავნას ახლო აღმოსავლეთში და იურიდიული, პოლიტიკური და ჰუმანური პრობლემების განხილვას უშიშროების საბჭოში, რომელთა გადაჭრა აუცილებელია ამ რაიონის მტკიცე მშვიდობის დასამყარებლად.

ამერიკული პროექტი, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების პრესაც „ბოლისრაელ“ პროექტს უწოდებს, ისრაელის ჯარების გაყვანას დაპყობილი ტერიტორიებიდან უკავშირებს სხვა საკითხების გადაჭრას და ფაქტიურად მოითხოვს აგრესორის დასაჩუქრებას.

ლათინური ამერიკის 18 ქვეყნის პროექტი იმავე მიზნის ისახავს, რასაც ამერიკული, მაგრამ ისეთნაირად არის შედგენილი, რომ გადაიბიროს იმ მერყეე დელეგაციათა ნაწილი, რომლებიც იუგოსლავიის პროექტს უჭერენ მხარს.

და, ბოლოს, არის ალბანეთის რეზოლუციის პროექტი. იგი ისეა დაფორმულირებული, რომ ანსებითად აადგილებს ისრაელისა და ამერიკის შეერთებული შტატების ბრალეულობას. ეს ბრალეულობა ეს ბრალეულობა, ეს ბრალეულობა, ეს ბრალეულობა,

# კიევში, კრეშჩატიკზე

ნიცლი ჩამოწვა იმ დილით ბორისპოლის აეროდრომზე. უამინდობამ ფრენა გააძნელა — დროდადრო ისმოდა ინფორმატორის ხმა: „რეისი იგვიანებს“, „გაფრენა გადადებულია 18 საათამდე“.

მოსაცდელ დარბაზში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი, ყველას თავისი საზრუნავი ჰქონდა.

აქედან კიევამდე ორმოცი კილომეტრიაო, გვითხრა ჟურნალისტმა დ. პრიკორდონმ. მას რედაქტორად უმუშავენია ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გაზეთში და ბევრი მეგობარი ჰყავს ჩვენში. დიდი სითბოთი და სიყვარულით ლაპარაკობს საქართველოში ყოფნის ყოველ დეტალზე.

კიევში ორმოცდახუთ წუთში ჩაგვიყვანა მანქანამ, და მაშინვე მივაშურეთ საქვეყნოდ ცნობილ უკრაინის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმს. აქ დღის განმავლობაში ბევრი მნახველი მოდის და ხანმოკლე მივლინებაში მყოფი ადამიანი მართლაც ბევრ რამეს მოისმენს და ნახავს მეტად მდიდარ სამუზეუმო ექსპონატებს შორის.

კიევის ისტორია შორეულ წარსულს განაკუთვნება. რუსეთის ისტორიის მატიანემ შემოინახა ამ ქალაქის დაარსების ლეგენდა. აი რას გვიამბობს ქამთამეწერელი: „882 წელს ნოვგოროდის მთავარი ოლეგი თავისი რაზმით მდინარე დნეპრს დაჰყოლია ნავებით, მოსულა ამ ადგილებში და უთქვამს — იყოს აქ რუსთა დედაქალაქი“. და სამი საუკუნის განმავლობაში კიევი ყოფილა ძველი რუსეთის დედაქალაქი.

დღეს, როცა უყურებ შესანიშნავად დამშვენებულ უკიდეგანო ქალაქს, ძნელია განსაზღვრო როგორი იყო ის რამდენიმე საუკუნის წინ. განა შეიძლება წარმოიდგინო ცენტრალური ქუჩა კრეშჩატიკი დაჯობებული ორმოებით და გაუვალი ხრამებით, ბორცვები კი დაბურული ტყეებით დაფარული, სწორედ ასეთი ყოფილა ის ჯერ კიდევ ამ ასორმოცდაათი წლის წინათ.

უკრაინის დედაქალაქში კრეშჩატიკი არა მარტო ცენტრალური ქუჩაა, არამედ ულამაზესი მაგისტრალიც არის. ეს ქუჩა დიდ მდინარეს ჰგავს, რომელიც თეთრად მოქათქათე მაღალ სასახლეებს და კვარტალებს შუა მიედინება. აქ სახლები უფრო ნათელი და ჰაეროვანი ჩანან.

წაბლის ხეების ლარივით გაჭეული თვალუწვდენელი ხეივნით დამშვენებული კრეშჩატიკი ფაქიზად მოვლილ პარკს ჰგავს. აქ რომელიმე ქუჩაზე სასეირნოდ გამოსულ ადამიანს ხალხის დინება უნებურად კრეშჩატიკზე გიყვანს.

ამ ქუჩამ თავისი დაბადება ორჯერ იზეიმა — პირველად XVIII საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდენ ამ მიდამოებში საცხოვრებელი და სავაჭრო კვარტალები. ომის წინ ეს იყო კოხტა და ლამაზი სახლებით დამშვენებული ცენტრალური ქუჩა.

უმაგალითო სისხლისმღვრელი ომის დროს ფაშისტმა დამპყრობლებმა თითქმის მთლიანად დაანგრიეს კრეშჩატიკი, ქუჩის ორივე მხარეს შებოლილი ნანგრევების გორები იყო. ადამიანს საცალფეხო ბილიკის პოვნა გაუჭირდებოდა, გვეუბნება ჩვენი მასპინძელი.

გერმანელი ოკუპანტებისაგან უკრაინის დედაქალაქის განთავისუფლების შემდეგ ყველა კიეველი, ვისაც ბარისა და ნიჩბის ხმარება შეეძლო, თავის თავს მოვალედ თვლიდა საყვარელი ქუჩის აღსადგენ სამუშაოებზე მოწონაგეთა ზორის ყოფილიყო. სწორედ ეს პერიოდია მიჩნეული კრეშჩატიკის მეორედ დაბადებად. იგი ახალი პროექტით იქნა აღდგენილი, საგრძნობლად გაფართოებული და გამშვენიერებული.

კრეშჩატიკის — შესანიშნავ არქიტექტურულ ნაგებობათა ანსამბლს წარმოადგენს კალინინის სახელობის მოედანი, მას გარს ნახევრმთვარედ ერტყმის თეთრი ფილებით ლამაზად მოპირკეთებული მრავალსართულიანი სახლების კორპუსები, მოედნის ცენტრში კი შესანიშნავი სკვერია. მოედნის მოპირდაპირე მხარეს გრანიტის ნათალი კიბეები ტერასებს მაღლა მიჰყვება, სადაც გოლიათივით დგას თოთხმეტსართულიანი სასტუმრო „მოსკოვი“.

ყველა აქაურ კვიდრს შეუძლია მოგვაყვეს იმ ჯარისკაცზე, რომელიც, ფრონტიდან დაბრუნებული, მწუხარებისა და აღშფოთებისაგან გაქვავდა ნანგრევებად ქცეული უნივერსიტეტის შენობის წინ. სწორედ ამ სასწავლებლიდან წავიდა ეს ომის პირველსავე დღეებში სამშობლოს დასაცავად.

მოგვაყვანინა იმ სტუდენტებზეც, რომლებიც ლექციებს შემდეგ მთელი დღის განმავლობაში მუშაობდნენ კრეშჩატიკისა და ბარბაროსულად დანგრეული ქალაქის აღდგენაზე.

კიევის უნივერსიტეტი, რომელსაც პროგრესული იდეების დანერგვაში დიდი როლი აქვს შესრულებული და ბევრი სახელოვანი მეცნიერი აღუზრდია, 1884 წელს არის დაარსებული. იგი ერთ-ერთი უძველესი უმაღლესი სასწავლებელია ჩვენს ქვეყანაში.

ამ ქალაქში სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ დიდი უკრაინელი პოეტი ტარას შევჩენკო, პოეტი ლესია უკრაინკა და მწერალი ნიკოლოზ ოსტროვსკი.

ადრეული კიევი რუსეთში მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად ითვლებოდა. დღითიდღე იზრდებოდა მუშათა რიცხვი.

უკვე 1879 წელს გამართული მუშათა გაფიცვა მეტყველებდა, რომ მუშათა კლასი ზრდასთან ერთად რევოლუციურ თვითშეგნებასაც იძენდა.

ამ პერიოდში აქ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდან ცნობილი რევოლუციონერები ი. მელნიკოვი, ა. ლუნაჩარსკი, ლ. კეცხოველი, ნ. ბაუმანი და სხვები. სასულიერო სემინარიის მოსწავლეთა გაფიცვის ორგანიზაციისათვის 1893 წელს ლადო კეცხოველი ადმინისტრაციამ გარიცხა თბილისის სემინარიიდან, პოლიციამ კი თბილისში ცხოვრება აუკრძალა.

სწავლას მოწყურებული და მარქსიზმის იდეებს გაცნობილი ახალგაზრდა ლადო 1894 წელს ჩავიდა კიევში. დიდი დაბრკოლებების გადალახვის შემდეგ ის ჩაირიცხა სასულიერო სემინარიაში. სწავლასთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციური წრეების მუშაობაში. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია პოლიციას, და ლ. კეცხოველი 1896 წელს დააპატიმრეს.

უკრაინის დედაქალაქის ისტორიულ მუზეუმში საიუბილეო სტენდზე „ისინი იბრძოდნენ ჩვენი დიადი მომავლისათვის“ გაკრულია უშმარი რევოლუციონერის ლადო კეცხოველის ხანმოკლე, მაგრამ ლეგენდარული შემართებით აღსავსე ცხოვრების ამსახველი ბევრი დოკუმენტი.

რუსეთის პირველ რევოლუციას აქ დიდი გამოძახილი ჰქონდა. მუშათა გამოსვლებს უკვალოდ არ ჩაუვლია. 1905 წელს 18 ნოემბერს კიევის მუშებმა შეიარაღებული გამოსვლა მოაწყეს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ეს გამოსვლა სისხლში ჩაახრჩვეს მეფის დამჭაბუნმა.

კიეველი მუშების შეუპოვარი ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რეაქციის მძიმე პერიოდშიც არ შეწყვეტილა. 1914 წელს კიევის რევოლუციური პროლეტარიატი ახალი ძალით უტევს ცარიზმის შერყეულ ბასტიონებს.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ კიევის მშრომელებმა 29 ოქტომბერს აჯანყება მოახდინეს და დროებითი მთავრობა განდევნეს. აჯანყების ცენტრს წარმოადგენდა ქარხანა „არსენალი“. რევოლუციურ აჯანყებას სათავეში ედგა რსდმპ (ბ) საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ლავრენტი ქართველიშვილი.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და ჩვენი დიადი სამშობლოს სხვა ხალხების ძმური დახმარებით საბჭოთა უკრაინის მშრომელებმა გაანადგურეს გარეშე და შინაური მტრები, გათელეს ინტერვენტების ბანდები, ალყა შემოარტყეს ატამანი პეტლიურა, ბოლოს ბოლოს ... ოკუპაციებული ენერგიით შეუდგნენ ეკონომიკურად ... ბრძოლებში ... ბრძოლებში ... ... ...

# პირჩია, სად გსურს ისწავლო!

## თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

**აცხადებს მიღებას 1967-68 სასწავლო წლისათვის**

